

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება
N 118 1996 წლის 26 აპრილი ქ.თბილისი**

**აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების სახელმწიფო
პროგრამის შემუშავების შესახებ**

"აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებით რეკომენდაცია მიეცა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-პოლიტიკური, საკონსტიტუციო, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, საინფორმაციო ვითარების ახალ რეალობათა შესაბამისად ორ თვეში შეიმუშაოს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების სახელმწიფო პროგრამა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით:

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ი.მენაღარიშვილმა (მოწვევა), სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა შ.კვირიაამ, თავდაცვის მინისტრმა ვ.ნადიბაიძემ, ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკური პრობლემებისა და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა - მიმართულების ხელმძღვანელმა ი.მაჭავარიანმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, სხვა დაინტერესებული უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით ახალ რეალობათა შესაბამისად შეიმუშაონ აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების სახელმწიფო პროგრამა და 1996 წლის 2 მაისამდე განსახილველად წარუდგინონ ეროვნული უშიშროების საბჭოს.

ე. შევარდნაძე